ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31252064**
თარიღი: **25/07/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

25. 07. 2025 წელი

11:00 საათი

სხდომას უძღვებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: გოჩა ჯანაშია, ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი მაია აფხაზავა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი:მაკა მშვიდობაძე/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

6.„ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

7. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

8. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

9. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

10. ,,მდინარეების დაბინძურების შესწავლისა და აღდგენის (PURE Rivers) პროექტის BSB01319 თანადაფინანსებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

11. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე - 3 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის

24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

ვინაიდან, ფრაქციას არ ესწრებოდა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელი, ფრაქციის წევრებმა არ განიხილა აღნიშნული საკითხი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 0 დეპუტატი , წინააღმდეგი 3.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის (პროექტის ღირებულება 1973596 ლარი) რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყო 34595 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 1821 ლარი, სულ 36416 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მიმართვა განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის გეგმის 1821 ლარის ზრდის ხარჯზე. საქართველოს მთავრობის მიმდინარე 13 მაისის N783 განკარგულების საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტეტებზე გადაცემული თანხების ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 135161 ლარი მიიმართოს (ორგ.კოდი 010205) სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე. პროექტზე ადგილობრივ ბიუჯეტიდან დამატებით უნდა მიიმართოს 155980 ლარი სულ 291141 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზემოთ აღნიშნულ პროექტზე თანხის მიმართვა განხორციელდეს ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტოსალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობის სამუშაოების 100000 ლარით და მინი სტადიონების მშენებლობის დაფინანსების 55980 ლარით შემცირების ხარჯზე.

დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძის თქმით, სუფსა-ურეკის გასაყარზე კომპანია ,,სფერო ჰოლდინგი“ აგრძელებს უკანონო მშენებლობას, მიუხედავად დაკისრებული ჯარიმებისა. იგი დაინტერესდა რატომ არ ხდება შესაბამისი რეაგირება.

გოჩა ჯანაშია დაინტერესდა, თუ რა ეტაპზეა სოფელ ჩიბათში ტურისტული ცენტრის მშენებლობა, რაზეც შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ პირველმა შემსრულებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების შესრულება, რის გამოც მას ვადამდე შეუწყდა ხელშეკრულება. ამჟამად ახალი ინვესტორია შერჩეული, მასთან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და პროექტი განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 0 დეპუტატი , წინააღმდეგი 3 .

3. დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 8 მაისის V 6 25 00011579 წერილის საფუძველზე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილების ცვლილების პროექტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 132-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

გოჩა ჯანაშია დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ქალაქის ცენტრში მოსაცდელის მოწყობა, რაზეც შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე უკვე გამოცხადებულია ტენდერი და უახლოეს მომავალში მოეწყობა მოსაცდელი სივრცე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0 .

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმა არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები, მათი რესურსები და ყველა ჩართული მხარის ოპერატიული მოქმედებები მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვის მიზნთ.

გეგმის მიზანია:

- საგანგებო სიტუაციებისაგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელთა დაცვისა და უსაფთხოების ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;
- ადგილობრივ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებების, მათი მოცულობის, განხორციელების წესისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე სუბიექტების ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა;
- ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოს შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების მხარდაჭერა;
- ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0 .

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მაკა მშვიდობაძემ.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 0 დეპუტატი , წინააღმდეგი 3 .

6. **დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:**

„ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური

საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ მაკა მშვიდობაძემ.

ფრაქციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს არის პროპანგანდისტული ნაბიჯი, შინაარსობრივად არაფერი იცვლება და წინააღმდეგი წავიდნენ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანაზე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე: 0 დეპუტატი , წინააღმდეგი 3 .

7.დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძემ, მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2025 წლის 30 ივნისის N 09/ 5285 წერილით, მომართა სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი იაკობაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სააგენტოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების (მათ შორის მცენარეთა დაცვის კუთხით, მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება) განსახორციელებლად, ესაჭიროება საოფისე ფართი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს თავმჯდომარემ ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებულ საოფისე ფართების, კერძოდ 35,70 კვ.მ.-ი N101 (ს/კ 27.06.51.005 01/101) და 17.20 კვ.მ.-ი N113 (ს/კ 27.06.51.005 01/113) ოთახების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ აღნიშნა, რომ ,,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%- იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0 .

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებაა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ ქ. ლანჩხუთში მდებარე 12250 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.06.48.410) უკვე არსებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, აგრარული ბაზრის აშენებისა და გამართვის პირობით, 20 წლის ვადით გამოაცხადოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით

გადაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული აუქციონი. აღნიშნულისთვის საჭიროა, - ,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან 343000 (რომელიც განსაზღვრულია სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 20 მაისის N003294824 დასკვნით) ლარიდან, გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (10.0-%) შესაბამისად, რომლის ოდენობა 34 300 ლარი გაწერილია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0 .

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისად და გეგმიდან ამოღებულ იქნას, მერიის აუქციონატორის მიერ პრივატიზირებული მუნიციპალური ქონება, კერძოდ სოფელ სუფსაში მდებარე 2400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 24.15.47.006) განთავსებული N1—459კვ.მ შენობა-ნაგებობა და ავტომობილი SKODA OCTAVIA (სახელმწიფო ნომერი FF-535-FG, გამოშვების წელი 2006წ).

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0 .

10. დღის წესრიგის მეათე საკითხი:,,მდინარეების დაბინძურების შესწავლისა და აღდგენის (PURE Rivers) პროექტის BSB01319 თანადაფინანსებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს პროექტში ,,Pollution Understanding and Restoration Effort for Rivers”, Jems code:BSB01319-PURE RIVERS, რომელიც წარდგენილი იყო 2021-2027 შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის (BSB NEXT Programme 2021-2027) მეორე კონკურსში და დაფინანსდა:

პროექტის პარტნიორებია:

-IUC-სტამბულის ჩერაჰპაშა უნივერსიტეტი(თურქეთი)

-საქარიას მუნიციპალიტეტი (თურქეთი)

-თრაკიას დემოკრიტუს უნივერსიტეტი(საბერძნეთი)

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (საქართველო)

პროექტის დაწყების (კონტრაქტის საბოლოო გაფორმების შემდგომ) სავარაუდო თარიღია 2025 წლის 1 სექტემბერი.

პროექტის ხანგრძლივობაა 30 თვე.

პროექტის ბიუჯეტი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის) -337,050 ევრო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და

ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსის მაია აფხაზავას განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ საჭირო თანადაფინანსება შეადგენს 10%-ს-33,705.00 ევრო. ასევე დაზუსტებისთვის-ამ 10%-დან-7% არის ე.წ ადმინისტრაციული ხარჯები (რაც ისედაც არის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ხარჯებად-მაგ: კომუნალური, შიდა ტრანსპორტი და სხვა მიმდინარე ადმინისტრაციული), ანუ რეალურად მუნიციპალიტეტს უწევს ფაქტიურად 3%-ის დაფინანსება დამატებით (11, 000 ევრო საშუალოდ). ასევე ეს თანადაფინანსება გათვალისწინებულია პროექტის სრულ პერიოდზე-30 თვეზე. პროექტი აერთიანებს სხვადასხვა სექტორისა და რეგიონის ექსპერტიზის, რესურსებისა და ცოდნის ფართო სპექტრს, რათა გადაჭრას შავი ზღვის რეგიონში მდინარეების დაბინძურების აქტუალური პრობლემა. პროექტი ფოკუსირებულია შავი ზღვის რეგიონში მდინარეების დაბინძურების საერთო გამოწვევის გადაჭრაზე, კერძოდ, მიმართულია მდინარე ევროსზე (საბერძნეთი/თურქეთი), მდინარე საქარიაზე (თურქეთი) და მდინარე სუფსაზე (საქართველო). ეს მდინარეები დაბინძურების საფრთხის წინაშე დგანან სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენით, მუნიციპალური მყარი ნარჩენებით, სამრეწველო ნარჩენებით და მიკროპლასტმასით. პროექტის მთავარი მიზანია სამიზნე მდინარეებში დაბინძურების შეფასება და შემცირება, მათი ეკოლოგიური მდგომარეობის აღდგენის პარარელურად. პროექტის ძირითადი ასპექტია მდინარეების დაბინძურების შეფასების სტარდარტიზებული მეთოდოლოგიის შემუშავება. ეს მეთოდოლოგია გამოავლენს ძირითად პარამეტრებს, განსაზღვრავს ნიმუშების აღების ადგილებს და განახორციელებს ხარისხის კონტროლის ზომებს. დაბინძურების დონის მუდმივი გაზომვით, პროექტი შეაგროვებს ღირებულ მონაცემებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ჩატარდება ასევე საინფორმაციო კამპანიები, ვორქშოფები. ეს მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად შეაფასონ და მართონ მდინარის დაბინძურება, რაც გამოიწვევს დაბინძურების გრძელვადიან კონტროლს.

მისივე განმარტებით, პროექტი შეიმუშავებს სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას მდინარეების გაწმენდისა და აღდგენისთვის, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. დაბინძურების წყაროების მოსაგვარებლად განხორციელდება კონკრეტული ზომები, როგორიცაა ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების გაუმჯობესება, ბიოლოგიური გაწმენდა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება. განხორციელებული ქმედებების პროგრესის თვალყურის დევნებისა და ეფექტურობის შესაფასებლად განხორციელდება მუდმივი მონიტორინგი და შეფასება. პროექტი შეაგროვებს მონაცემებს, გაანალიზებს შედეგებს და განახორციელებს საჭირო კორექტირებას სასურველი შედეგების უზრუნველსაყოფად. ამ პროცესიდან მიღებული გაკვეთილები სამომავლო ჩარევებს შეუწყობს ხელს, რაც პროექტის საერთო გავლენას გაზრდის. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკოსისტემის გაუმჯობესებას.

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე: 3 დეპუტატი , წინააღმდეგი 0 .

11. სხვადასხვა საკითხები:

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები უხარისხოდ არის შესრულებული,თითქმის ყველა პროექტი დაუსრულებელია. ასევე, სუფსაში განხორციელებულ სამუშაოებზე გაამახვილა ყურადღება, სადაც ნაპირსამაგრი გაკეთდა, თუმცა ამოღებული მიწა თავის ადგილას აღარ დაუბრუნებიათ.

ასევე აღნიშნა, რომ სტიქიისთვის გამოყოფილ ხარჯებში არ არის გათვალისწინებული დამხმარე შენობება - ნაგებობები, რომლებიც დაზიანდა და ამჟამად მოსახლეობა ცხოვრობს.

მისი თქმით, კვლავაც მოუგვარებელია საკითხები, რომლებიც მან წინა ფრაქციის სხდომებზე არაერთხელ დააყენა, თუმცა დღემდე არანაირი რეაგირება არ მომხდარა. მათ შორისაა: გრიგოლეთში, ლანჩხუთის მიმართულებით მოსაცდელის მოწყობა, სუფსის რკინიგზის სადგურთან დაგროვებული ჯართის გატანა და სუფსაში განუხორციელებელი წყალმომარაგების პროექტი- კერძოდ, უნაგირასა და შრომისუბნის დასახლებაში.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.07.2025 წელი

11:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	10:55	
2	გოჩა ჯანაშია	10 55	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	10 55	